ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია** **Communication, Language and Speech Therapy**
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრი** **Master of Language and Speech Therapy**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელები	ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2016 წელს და განახლდა 2021 წელს. გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ასევე კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.
შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის კომპეტენცია (B2) და მისი დარგობრივი ცოდნა.

დეტალური ინფორმაცია შიდასუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

პროგრამის მიზნები

პროგრამა, რომელიც აერთიანებს მედიცინის, ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკისა და განათლების მეცნიერებების ელემენტებს, მაგისტრანტებს აძლევს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ-კლინიკურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სფეროში; ხელს უწყობს მაგისტრანტს, ჩაწვდეს დარგის აკადემიურ კონცეფციებს, შეისწავლოს და გააცნობიეროს მათი მიმართებები პრაქტიკასთან. სწავლებისას აქცენტირებულია თანამედროვე, მტკიცებულებებზე-დაფუძნებული მიდგომები და ინტერვენციები. პროგრამის კვლევითი კომპონენტი ორიენტირებულია ქართული ენის თავისებურებების შესაბამისი შეფასების მეთოდებისა და ინტერვენციის მიმართულების შესწავლასა და პრაქტიკაში დანერგვაზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით მოამზადოს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების კვალიფიციური თერაპევტი, რომელიც შეძლებს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეებისა და დარღვევების იდენტიფიცირებას, შეფასებას, ინტერვენციის გეგმის შედგენას და განხორციელებას, კონსულტირებას ბავშვებსა და მოზრდილებში, ინკლუზიური პრაქტიკის ხელშეწყობას, კვლევას და ცოდნის გავრცელებას.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის:

1. კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის საერთაშორისო სტანდარტები, თეორიული მოდელები, კონცეფციები, მათი მიმართება როგორც მომიჯნავე დარგებთან (მედიცინა, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა და განათლების მეცნიერებები), ასევე პრაქტიკასთან;

კურსდამთავრებულს შეუძლია:

2. ქართული ენის თავისებურებების შესაბამისი შეფასების მეთოდებისა და ინტერვენციის შემუშავებასა და პრაქტიკაში გამოყენებაზე ორიენტირებული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;
3. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის ფარგლებში კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სხვადასხვა სახის დარღვევებისა და სირთულეების იდენტიფიკაცია, შეფასება, ეფექტური ინტერვენციის გეგმის შემუშავება და განხორციელება, როგორც ბავშვებში, ასევე ზრდასრულებში;
4. მულტიდისციპლინურ, ინტერდისციპლინურ და ტრანსდისციპლინურ ჯგუფებში მუშაობა, კლინიკური მსჯელობა და მოქნილი გადაწყვეტილებების მიღება გუნდთან შეთანხმებით;
5. კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პრობლემის მქონე პირების, მათი მშობლების/მეურვეების და სხვა მომიჯნავე დარგის სპეციალისტების კონსულტირება;
6. კვლევის შედეგების, საკუთარი არგუმენტების და იდეების ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან თანამედრო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
7. საკუთარი სწავლისა და პრაქტიკის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი პროცესების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამით - კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია გათვალისწინებულია სწავლების ოთხი აკადემიური სემესტრი. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა მნიშვნელოვნად ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, პროგრამა ითვალისწინებს, მეორე სემესტრიდან მეოთხე სემესტრის ჩათვლით სტუდენტების ჩართულობას კლინიკურ პრაქტიკაში. პროგრამა სრულდება მეოთხე სემესტრში სამაგისტრო კვლევის/ნაშრომის შესრულებით და საჯარო დაცვით.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 120 კრედიტი:

- სავალდებულო კურსები - 66 კრედიტი;
- სავალდებულო-არჩევითი კურსები - 18 კრედიტი;
- კლინიკური პრაქტიკის კურსები - 18 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 18 კრედიტი.

სწავლების მეთოდები

სამაგისტრო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ლექცია და სემინარი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- წერითი მეთოდი;
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები;
- შემთხვევის ანალიზი (case studies);
- ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები;
- გონებრივი იერიში;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- თვით-რეფლექსია;
- დისკუსია/დებატები;
- კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება;
- სიმულირებულ და რეალურ გარემოში პრაქტიკა (პრაქტიკული მუშაობა);
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია.

შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

შეფასება

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპომენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები/შემდგომი განათლების პერსპექტივები

ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

1) ბავშვთა და მოზრდილთა სამედიცინო კლინიკები, რომლებიც ემსახურებიან წოვის/ყლაპვის, აფაზიის, ენისა და მეტყველების დროებითი და ქრონიკული პრობლემების მქონე პაციენტებს;

2) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების და მოზარდების სარეაბილიტაციო ცენტრები და დღის ცენტრები;

3) ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამები - ორგანიზაციები „პირველი ნაბიჯი - საქართველო“, „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“, „საქართვლოს ბავშვები“, „ნეორორეაბილიტაციის ცენტრი“ და სხვა;

4) საქართველოს საბავშვო ბაღები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები;

5) კერძო პრაქტიკა;

6) არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მიზანიცაა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების უფლებების დაცვა და ადვოკატირება.

კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ სწავლა გააგრძელონ შემდგომ აკადემიურ საფეხურზე (დოქტორანტურა) როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოყენებული სასწავლო ფორმატისა და მეთოდების შესაბამის ინფრასტრუქტურას:

- ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ოთახი ინტერნეტთან და ელექტრონულ ბაზებთან წვდომით;
- ტექნიკურად აღჭურვილი აუდიტორიები;
- უნივერსიტეტში არსებული ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, სადაც სპეციალისტების მულტიდისციპლინური გუნდი სხვადასხვა სახის სერვისებს აწვდის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს; ინსტიტუტი წარმოადგენს სტუდენტებისთვის პრაქტიკისა და კვლევითი პროექტების განხორციელების ბაზას;
- პროგრამაში მონაწილე პარტნიორი დაწესებულებები (,,საქართელოს პორტიჯის ასოციაცია”, სტომატოლოგიური კლინიკა ,,ალბიუსი”, ,,ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ცენტრი, ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა“).
- ა(ა)იპ სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი „აი ია“.

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია
სალექციო კურსების სია

#	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობები	კრედიტი	საონტ. საათები	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
1	კვლევის მეთოდები ენისა და მეტყველების თერაპიაში	სავალდ.	თინათინ ჭინჭარაული	-	6	45	X	
2	ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები	სავალდ.	ნინო შარაშენიძე	-	6	32	X	
3	ქართულენოვანი ბავშვის მეტყველების თავისებურებანი და თანამედროვე საანალიზო სისტემები	სავალდ.	თეონა დამენია	-	6	32	X	
4	კლინიკური ლინგვისტიკა	სავალდ.	მანანა გაბაშვილი-ბუაჩიძე		6	32		X
5	კომუნიკაციის განვითარება და დარღვევები	სავალდ.	ნინო გოგიჩაძე	-	6	32	X	
6	ენობრივი განვითარება და დარღვევები	სავალდ.	ნინო ცინცაძე	ქართულენოვანი ბავშვის მეტყველების თავისებურებანი და თანამედროვე საანალიზო სისტემები; ბავშვის განვითარება და კომუნიკაციურ-ენობრივი განვითარება	6	32		X
7	კვების დარღვევები	სავალდ.	ელენე წკრიალაშვილი	ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები; ორალურ-მოტორული დარღვევები	6	32		X
8	ორალურ-მოტორული უნარებისა და მეტყველების განვითარება და დარღვევები	სავალდ.	ანა შამათავა, თინათინ ანთიძე		6	45	X	
9	მეტყველების მოქნილობის დარღვევები	სავალდ.	თინათინ ჭინჭარაული		6	32	X	
10	ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების კომუნიკაციის, ენის, მეტყველებისა და	სავალდ.	თინათინ ანთიძე, თეა გოჩიტაშვილი	ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები	6	32	X	

	წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა							
11	პროფესიული ეთიკა კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიაში	სავალდ.	ნინო ცინცაძე		6	32	X	
12	კლინიკური პრაქტიკა I: კომუნიკაციის შეფასება და ინტერვენცია	სავალდ.	ნინო გოგიჩაძე	- ქართულენოვანი ბავშვის მეტყველების თავისებურებანი და თანამედროვე საანალიზო სისტემები; - კომუნიკაციის განვითარება და დარღვევები	6	30		X
13	კლინიკური პრაქტიკა II: ენის შეფასება და ინტერვენცია	სავალდ.	ნინო ცინცაძე	ბავშვის განვითარება და კომუნიკაციურ-ენობრივი განვითარება და ენობრივი განვითარება და დარღვევები	6	30	X	
14	კლინიკური პრაქტიკა III მეტყველება და ორალურ-მოტორული დარღვევები: შეფასება და ინტერვენცია	სავალდ.	ანა შამათავა, თინათინ ანთიძე	მეტყველების განვითარება და დარღვევები; ორალურ-მოტორული განვითარება და დარღვევები	6	30		X
15	კლინიკური ინტერვიუირების პრაქტიკუმი	სავალდ./ არჩ.	ნატა მეფარიშვილი		6	32		X
16	ბავშვის განვითარება და კომუნიკაციურ-ენობრივი განვითარება	სავალდ./ არჩ.	ნინო ცინცაძე		6	30		X
17	ალტერნატიული და აუგმენტატური კომუნიკაცია	სავალდ./ არჩ.	ნატო ჯამასპიშვილი	კომუნიკაციის განვითარება და დარღვევები; ენისა და მეტყველების ბიოსამედიცინო ასპექტები	6	32		X
18	თამაში და სილაღე კომუნიკაციისა და ენის განვითარებისათვის	სავალდ./ არჩ.	თამთა კუხალეიშვილი		6	32	X	
19	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდ.			18			X

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი			
	სახელი და გვარი	*სტატუსი*	*ელექტრონული ფოსტა*
1	თინათინ ჭინჭარაული	პროფესორი	tinatin.chincharauli@iliauni.edu.ge
2	ნინო ცინცაძე	ასოცირებული პროფესორი	nino.tsintsadze@iliauni.edu.ge
3	ნატა მეფარიშვილი	ასოცირებული პროფესორი	nata.meparishvili@iliauni.edu.ge
4	თეონა დამენია	ასისტენტ-პროფესორი	teona.damenia@iliauni.edu.ge
5	ნინო შარაშენიძე	მოწვეული ლექტორი	sharashura@yahoo.com
6	მანანა გაბაშვილი-ბუაჩიძე	მოწვეული ლექტორი	m.gabashvili@gipa.ge
7	ნინო გოგიჩაძე	მოწვეული ლექტორი	nino.gogichadze.1@iliauni.edu.ge
8	თამთა კუხალეიშვილი	მოწვეული ლექტორი	tamta.kukhaleishvili@iliauni.edu.ge
9	ელენე წკრიალაშვილი	მოწვეული ლექტორი	elene.tskrialashvili.1@iliauni.edu.ge
10	ანა შამათავა	მოწვეული ლექტორი	ana.shamatava.2@iliauni.edu.ge
11	თინათინ ანთიძე	მოწვეული ლექტორი	tinatin_antidze@iliauni.edu.ge
12	ნატო ჯამასპიშვილი	მოწვეული ლექტორი	nataliajamaspishvili@gmail.com
13	თეა გოჩიტაშვილი	მოწვეული ლექტორი	tea.gochitashvili@iliauni.edu.ge